ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „**განათლების მეცნიერებები**“

რუსუდან დარსალია

საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია საქართველოში სწავლისას?!

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის
სტუდენტების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

თბილისი
2019

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია, საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის საერთაშორისო სტუდენტების მაგალითზე.

მოცემული საკითხი საერთაშორისო განათლების სფეროში აქტუალურია და ინტენსიური შესწავლის საგანია. რადგან საქართველოში საკითხი მსგავსი კუთხით დღემდე არაა შესწავლილი, საჭიროდ მივიჩნიე დამემუშავებინა და განმეხილა. ვინაიდან თსუ-ში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა არც ისე დიდია, გადავწყვიტე სამიზნე ჯგუფად შემერჩია საერთაშორისო სტუდენტებისთვის ყველაზე მოთხოვნადი ფაკულტეტი (სამედიცინო ფაკულტეტი).

საკითხის თვალსაჩინოებისათვის, საქართველოს მაგალითი საერთაშორისო სტუდენტებში ევროკავშირის ერთ-ერთ მოთხოვნად ქვეყანას (დიდ ბრიტანეთს) შევადარე. მეორე მაგალითად პოსტ საბჭოური უკრაინა მოვიყვანე, რადგან ინტეგრაციის საკითხები და პრობლემები ახლოს დგას ქართულ საგანმანათლებლო რეალობასთან.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, დავამუშავე SPSS-ის პროგრამაში, რომელიც სქემების და დიაგრამების სახით, დანართში ერთვის ნაშრომს.

annotation

The paper deals with the issues about integration of international students in Georgia. It is discussed on the example of international students of Iv. Javakhishvili Tbilisi State University's medical faculty.

The issue is relevant in the field of international education and is the subject of intensive study. Since the issue in Georgia has not yet been studied, I considered it necessary to work out and discuss. Since the number of international students in TSU is not so great, I decided to select the most requested faculty for international students (medical faculty).

To illustrate the issue, I compared the example of Georgia to one of the most popular country for international students (Great Britain). Another example is the post-Soviet Ukraine, because the issues of integration and problems of this country are close to the Georgian educational reality.

The results of the research conducted by me, I've analyzed in the SPSS program, which is attached to the annex in the form of charts and diagrams.

სარჩევი

შესავალი 5

ტერმინთა განმარტება 7

თავი I - ევროკავშირი და საერთაშორისო სტუდენტები 9

§1.2. ევროკავშირის მონაცემები საერთაშორისო სტუდენტებთან დაკავშირებით 10

თავი II - საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია დიდი ბრიტანეთისა და უკრაინის მაგალითზე 15

თავი III - საერთაშორისო სტუდენტები და საქართველო 30

კვლევითი ნაწილი 39

დასკვნა 46

რეკომენდაციები: 47

გამოყენებული ლიტერატურა 48

დანართი

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხებს საქართველოში სწავლის პერიოდში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის საერთაშორისო სტუდენტების მაგალითზე.

საკითხი აქტუალურია, რადგან უფრო მეტი ქვეყანა ცდილობს ჩაერთოს საერთაშორისო განათლების სისტემაში, რაც პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან. ვინაიდან საერთაშორისო სტუდენტები გარკვეული კრიტერიუმებით ირჩევენ სასურველ ქვეყანას, განათლების ეკონომიკით დაინტერესებული ქვეყნები ცდილობენ შექმნან საერთაშორისო დონის განათლების სისტემა, რომლითაც შეძლებენ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვას, რაც დროის და მოთხოვნების შესაბამისად, განათლების სისტემის მუდმივ სრულყოფას მოითხოვს. აღნიშნული განათლების რეფორმები თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ასევე ადგილობრივი სტუდენტებისთვისაც.

აკადემიურ დონეზე, საზღვარგარეთ სწავლა სტუდენტს საშუალებას აძლევს განათლება მიიღოს მისთვის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გაეცნოს სხვადასხვა სასწავლო მეთოდებსა და მიდგომებს, ასევე შეისწავლოს ახალი სასწავლო საგნები, რომლებიც ხშირად სტუდენტის ქვეყანაში არსებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არ ისწავლება. თუმცა, საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური კომპონენტით. ის სტუდენტებს ახალი კულტურის აღმოჩენის, ენის შესწავლის და ახალი უნარების გამომუშავების საშუალებას აძლევს.

ვინაიდან, შრომის ბაზარი ყოველდღიურად იცვლება, დამქირავებლები ყურადღებას აქცევენ თანამშრომლის პიროვნულ მახასიათებლებსა და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების უნარს. საზღვარგარეთ სწავლა კი სტუდენტს ეხმარება სწორედ ასეთი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საერთაშორისო განათლების თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოში ყოველწლიურად, დაახლოებით, ათი ათასამდე სტუდენტი ჩამოდის უმაღლესი განათლების მისაღებად და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. რის გამოც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხების კვლევა, თავად რას ფიქრობენ საქართველოში სწავლაზე, როგორ ადაპტირდებიან გარემოსთან, ხალხთან, კულტურასთან და ა.შ.

აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე მოცემული საკითხი სხვა ქვეყნების მაგალითზე შემესწავლა და შედეგი ქართული ანალოგისთვის შემედარებინა. ინფორმაციის შეგროვებისთვის ჩავატარე რაოდენობრივი კვლევა, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის საერთაშორისო სტუდენტები.

მოძიებული ლიტერატურის და ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მიღებული შედეგები დავამუშავე, განვაზოგადე და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით წარმოვადგინე ნაშრომში. აქვე აღსანიშნავია, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დავამუშავე SPSS-ის პროგრამაში, რომელიც სქემების და დიაგრამების სახით ერთვის ნაშრომს.

ტერმინთა განმარტება

ენის ბარიერი: წარმოქმნილი სირთულეები, როდესაც სტუდენტები არ საუბრობენ ერთსა და იმავე ენაზე.

ინტეგრაცია: არსებული საზოგადოების ფარგლებში გარემოზე მორგება;

კულტურა: ენის, რელიგიის, სოციალური ჩვევების, ადამიანების კონკრეტული ჯგუფის თავისებურებების განსაზღვრა და ა.შ.;

სტუდენტი: არის პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, დამატებით პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან კვლევითი კომპონენტის ნაწილს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში/საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – უნივერსიტეტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში/ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში;

საერთაშორისო სტუდენტი: UNESCO-ს განმარტებით, სტუდენტი, რომელმაც გადალახა ეროვნული ან ტერიტორიული საზღვარი განათლების მიღების მიზნით და ჩაირიცხა მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

უმაღლესი განათლება: სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კომპეტენციის გამომუშავებას და დასტურდება კვალიფიკაციის შესაბამისი დოკუმენტით;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ამასთან შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას.

თავი I - ევროკავშირი და საერთაშორისო სტუდენტები

სანამ უშუალოდ საქართველოს მაგალითის განხვილვაზე გადავიდოდეთ, იქამდე მიმოვიხილავ საერთაშორისო სტუდენტების მდგომარეობას ევროკავშირში; თუ რა კრიტერიუმებით არჩევენ საერთაშორისო სტუდენტები სამიზნე ქვეყნებს, რა ფაქტორებს ითვალისწინებენ და ა.შ., ასევე განვიხილავ Erasmus +-ის პროგრამას, როგორც ერთგვარ დამხარე საშუალებას, რომელიც საერთაშორისო სტუდენტების ხელშემწყობ პროგრამას წარმოადგენს უცხო ქვეყანაში სწავლის გასაგრძელებლად.

ევროკავშირი და საერთაშორისო სტუდნეტები

უმაღლესი განათლების გლობალიზაცია სტუდენტთა მობილობის კუთხით, ბოლო 40 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. მაგ., 2000 წლიდან 2010 წლამდე ევროპაში საერთაშორისო სტუდენტების რიცხვმა 114%-ს გადააჭარბა. უკანასკნელ წლებში, ევროკომიისისათვის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა, რის გამოც 2011 წელს, სწავლების მობილობისათვის შეიქმნა კონკრეტული საორიენტაციო სისტემა. რომლის მიხედვით, 2020 წლისათვის 20%-ით მეტი საერთაშორისო სტუდენტი შეძლებდა განათლების მიღებას ევროკავშირის ქვეყნებში, დაწყებული სამთვიანი სასწავლო პროგრამებით, დამთავრებული სრული უმაღლესი განათლებით. (Barrioluengo & Flisi, 2017)

აქედან გამომდინარე, ევროკავშირის ფარგლებში, სტუდენტთა მობილობის გაზრდა მნიშნელოვანია ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებისთვის.

ამ მხრივ, კვლევების უმეტესობა უმაღლესი განათლების თავისებურებებისა და სტუდენტთა მობილობის განსაზღვრისას, ხაზს უსვამს ეკონომიკური ფაქტორების როლს. ეს განპირობებულია ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობით; რაც შეეხება უნივერსიტეტით დაინტერესებას, დამოკიდებულია მისი სწავლების ხარისხსა და მეთოდებზე.

კვლევებით დგინდება, საზღვარგარეთ განათლების მიღება ხელს უწყობს პიროვნების კარიერულ წინსვლას და საერთაშორისო ასპარეზზე სამსახურის დაწყების შანს ზრდის. ამასთანავე, საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა, სწავლის დასრულების შემდეგ მასპინძელ ქვეყანაში ამჯობინებს დარჩენას და კარიერის აწყობას.

არსებობს განსხვავებული მიზეზები სტუდენტთა მიგრაციასთან დაკავშირებით. პირველი - ადამიანური კაპიტალის პერსპექტივები, ამ მხრივ, მიგრაცია მიჩნეულია ერთგვარ ინვესტიციად, რათა მიიღოს უკეთესი განათლება და ჰქონდეს პერსპექტიული სამსახური. მეორე - მიგრაცია შეიძლება მოგვევლინოს ხელსაყრელ შანსად. ამ კუთხით, სტუდენტი მიდის სხვა ქვეყანაში, უფრო კარგი პირობების საძიებლად; ის არა მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღებაზე არის ფოკუსირებული, არამედ მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, სადაც მას ცხოვრება და სწავლა მოუწევს. (Barrioluengo & Flisi, 2017)

1.2. ევროკავშირის მონაცემები საერთაშორისო სტუდენტებთან დაკავშირებით

ამ ქვეთავში განვიხილავ საერთაშორისო სტუდენტების მიგრაციის სტატისტიკურ მონაცემებს, რაც თვალსაჩინოს გახდის საერთაშორისო სტუდენტების დამოკიდებულებას ევროკავშირის ქვეყნების მიმართ.

როგორც აღმოჩნდა, გერმანია საერთაშორისო სტუდენტებში, პოპულარობის თვალსაზრისით, პირველი ადგილზეა, დიდ ბრიტანეთი - მეორე, საფრანგეთი - მესამე. ეს შედეგები ეფუძნება სამ ძირითად მახასიათებელს, რომელიც პრიორიტეტების თვალსაზრისით, შემდეგნაირად ნაწილდება: განათლება (45%) - განათლების ხარისხის გაზომვა; მისი ღირებულება (30%) - რა მოლოდინები აქვთ სტუდენტებს საცხოვრებლისა და სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით; კარიერა (25%) - ამ ქვეყანაში დარჩენისა და მუშაობის დაწყების შანსი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. (EU Country Ranking 2018 for International Students, 2018)

ამ პუნქტების გათვალისწინებით, გერმანია პირველ ადგილს იკავებს. გერმანული სახელმწიფო უნივერსიტეტები გამოირჩევიან მსოფლიო დონის სასწავლო პროგრამე-

ბით, რომელიც ამასთანავე უფასოა. რის გამოც, პრიორიტეტების გააზრებისას, სტუდენ-ტებს შორის ლიდერობს.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, დიდი ბრიტანეთი მეორე ადგილს იკავებს - პროცენტულად განათლებისა და ცხოვრება-კარიერის თვალსაზრისით, გერმანიაზე მაღალ საფეხურზეა, თუმცა სწავლის და საცხოვრებლის საფასურის კუთხით ოცდამეათე ადგილზე ინაცვლებს.

საფრანგეთი, მესამე ადგილზეა. გერმანიის მსგავსად, ეს ქვეყანა ხიბლავს უცხოელ სტუდენტებს აღიარებული და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების სისტემით.

ხოლო რაც შეეხება პოლონეთს, ის მეოთხე ადგილზეა და 2018 წელს პირველად მოხვდა ტოპ ათეულში. პოლონური უნივერსიტეტები მუდმივად ზრდიან ინგლისურენოვანი სწავლების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას. ბოლო ათი წლის განმავლობაში პოლონეთში საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი 12 000-დან 65 000-მდე გაიზარდა. (EU Country Ranking 2018 for International Students, 2018)

თუკი ამ სამ კრიტერიუმს ცალცალკე განვიხილავთ, შემდეგ მონაცემებს მივიღებთ:

- **განათლება**

როგორც ვიცით, განათლებას ამ სამი კრიტერიუმიდან 45% ერგება. სადაც დიდი ბრიტანეთი უპირობოდ ლიდერობს სწავლების ხარისხის ინდიკატორებითა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენების ეფექტურობით. ასევე ირკვევა, რომ ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაზე ინგლისურენოვანი პროგრამების რიცხვით, რაც 2000 სხვადასხვა სასწავლო პროგრამას შეადგენს, ისევ ეს ქვეყანა ლიდერობს ირლანდიასთან ერთად, თუმცა მათ ნიდერლანდებიც ნელნელა უახლოვდება 1600 პროგრამით.

- **საფასური**

უმაღლესი განათლების მიღებისას, არჩევანის შესაძლებლობა ბევრი სტუდენტისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. ცოტა თუ აღმოჩნდება საკმარისად იღბლიანი სასურველი სრული სტიპენდიის მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე,

საფასურს, როგორც კრიტერიუმს 30% ენიჭება. თუკი გავაერთიანებთ საცხოვრებლის, მათ შორის ქირისა და სწავლების საფასურს, 10 ყველაზე ხელმისაწვდომ ქვეყანას შორის, სწავლების მხრივ, წლიურ საფასურს დაახლოებით 7 000 ევრო შეადგენს ისეთ ქვეყანაში როგორიც პოლონეთია, ხოლო ლატვიაში ეს რიცხვი 10 000 ევროს აღწევს. (EU Country Ranking 2018 for International Students, 2018)

თუკი გასული წლების მონაცემებს შევადარებთ, დიდი ცვლილება არ დაფიქსირებულა სწავლების საფასურის მხრივ ამ ქვეყნებში, გარდა პოლონეთისა და გერმანიისა, რომლებიც ბევრ უფასო სასწავლო პროგრამებს სთავაზობენ სტუდენტებს და უზრუნველყოფენ კიდეც მათ საცხოვრებლით. საფრანგეთიც ასევე ის ქვეყანაა, რომელიც სტუდენტებს ბევრ უფასო პროგრამას სთავაზობს, თუმცა ევროს ვალუტის ცვლილებებისდა გამო 2017 წელთან შედარებით, 2018 წლის ათეულში ვერ მოხვდა.

ამ სექციაში ბოლო ადგილს დიდი ბრიტანეთი იკავებს, სტუდენტმა წელიწადში დაახლოებით 23 000 ევრო უნდა გაითვალისწინოს სასწავლებლად და საცხოვრებლად. თუმცა 2018 წელს წინა წელთან შედარებით, საფასური უფრო დაბალია, რაც გამოიწვია ფუნტის ღირებულების დაწევამ. (EU Country Ranking 2018 for International Students, 2018).

- **ცხოვრება და კარიერა**

საზღვარგარეთ სწავლა უნივერსიტეტში განათლების მიღების გარდა, მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც სთავაზობს სტუდენტებს. მათი უმრავლესობა, დიპლომის აღების შემდეგ, სახლში დაბრუნებას გეგმავს, სხვები კი იმედოვნებენ დარჩენას და სამსახურის პოვნას იმ ქვეყანაში, სადაც უმაღლესი განათლება მიიღეს.

ასევე აქცენტი გაკეთდა პიროვნულ უსაფთხოებაზე. სტუდენტები, რომლებიც სხვა ქვეყანაში სასწავლებლად მიდიან, დაინტერესებულნი არიან იმით, თუ რამდენად უსაფრთხოა ცხოვრება მასპინძელ ქვეყანაში. სოციალური პროგრესის ინდექსის მონაცემებით, ეს საზომი მოიცავს ქვეყანაში მკვლელობების, ძალადობრივი დანაშაულებისა და პოლიტიკური ტერორის ინციდენტების რიცხვს. თუმცა სტუდენტებმა, რომლებიც ევროპაში ჩამოდიან განათლების მისაღებად, ამაზე

ნაკლებად უნდა იდარდონ: თუკი სხვა არაევროპულ ქვეყნებს შევადარებთ, ევროკავშირის ქვეყნები ძალიან უსაფრთხოა. (EU Country Ranking 2018 for International Students, 2018)

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყნები ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე მორგებული უმაღლესი განათლების დანერგვას, რათა უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტი დააინტერესონ უმაღლესი განათლების მიღებით მათ ქვეყანაში. ამასთან დაკავშირებით, არსებობს ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული Erasmus + -ის პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი განათლება მიიღონ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს პროგრამა საერთაშორისო მობილობას უწყობს ხელს, ვინაიდან სწორედ ამგვარი პროგრამების მეშვეობით უადვილდება სტუდენტს სხვა ქვეყანაში სრული უმაღლესი განათლების გაგრძელების გადაწყვეტილების მიღება.

Erasmus + -ის პროგრამა

ერაზმუსის პროგრამა შეიქმნა 1987 წელს. მან ხელი შეუწყო ევროპის უმაღლესი განათლების მიმართულების შექმნას, უმაღლესი განათლებისა და ინოვაციური პროცესების განვითარებას. გარდა ამისა, იგი მიზნად ისახავდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, პიროვნების სოციალურ ინტეგრაციას, დასაქმების ხელშეწყობას, უწყვეტი განათლების მიღებას, ენების შესწავლას, ინოვაციური პროექტებისა და პროცესების დანერგვას. (FROM ERASMUS TO ERASMUS+, 2018)

2013 წელს ერაზმუსის პროგრამის დასრულების შემდეგ, მასზე დაყრდნობით შეიქმნა ერაზმუს+ პროგრამა. ეს არის ევროკომისიის ახალი პროგრამა განათლების, ტრეინინგის, ახალგაზრდობისა და სპორტისთვის, რომელიც მოიცავს სამ ფართო სფეროს: ტრანსნაციონალური სწავლების მობილობის ხელშეწყობა, ინსტიტუციონალური თანამშრომლობის მხარდაჭერა და განათლების მოდერნიზაცია განათლების პოლიტიკის ხელშეწყობის გზით. 2014-2020 წლების 15 მილიარდიანი ბიუჯეტით, ევროკომისია ერაზმუსის პროგრამის ფარგლებში 4 მილიონზე მეტ მონაწილეს ვარაუდობს. ბოლო წლებში ერაზმუსის პროგრამით სარგებლობა

მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2010 წლიდან 2012 წლამდე საშუალოდ 7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. ახალი Erasmus + პროგრამის შექმნისთანავე ეს ციფრები საგრძნობლად გაიზარდა.

ერაზმუს +-ის პროგრამა სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. არსებობს კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრას, ერასმუს +-ის პროგრამიდან გამომდინარე. კვლევები ხაზს უსვამენ აკადემიურ და კულტურულ ფაქტორებს, როგორიცაა მოგზაურობა საზღვარგარეთ, ევროპული გამოცდილების მიღება და სამუშაო პერსპექტივები. მაგალითად, Bryla-მ (2014) ჩაატარა ფართომასშტაბიანი ონლაინ კვლევა იმის შესახებ თუ რა სარგებელი მოაქვს ამ გაცვლით პროგრამას, შედეგები კი ასეთია: უცხო ენის შესწავლის, ახალი მეგობრების გაჩენის, ინტერკულტურული უნარ-ჩვევების შესაძლებლობა; ასევე, ამ პროგრამის მეშვეობით სტუდენტებს გაუჩნდათ სურვილი მობილობით ესწავლათ უცხო ქვეყანაში და აღნიშნეს, რომ ასეთი გამოცდილების მიღების შემდეგ, ისინი უფრო მეტად დამოუკიდებლები და თავდაჯერებულები არიან. (FROM ERASMUS TO ERASMUS+, 2018)

მაშასადამე, ერაზმუს +-ის მსგავსი პროგრამები აძლიერებს სტუდენტის სურვილს მიიღოს საერთაშორისო განათლება საზღვრებს გარეთ, რაც ნიშნავს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარის გამომუშავებას, უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, სხვა კულტურისა და ადამიანების გაცნობას და ა.შ.

თავი II - საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია დიდი ბრიტანეთისა და უკრაინის მაგალითზე

ახლა კი მოდით განვიხილოთ კონკრეტული ქვეყნების მაგალითები, თუ რატომ ირჩევენ ამ ქვეყნებს საერთაშორისო სტუდენტები, როგორ შეუძლიათ კონკრეტულ უნივერსიტეტში მოხვედრა - რა ეტაპების გავლაა ამისათვის საჭირო, რომელი პროგრამებია ყველაზე პოპულარული ამ ქვეყნებში და როგორ მიმდინარეობს საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია.

2.1. დიდი ბრიტანეთი და საერთაშორისო სტუდენტები

საერთაშორისო სტუდენტების სტატისტიკა დიდ ბრიტანეთში - 2019 წლის მონაცემები

საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ამ მხრივ, ბრიტანეთი მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში. ბრიტანეთს აქვს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასწავლო მიმართულებები. ამჟამად, მილიონზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს ამ ქვეყანაში. ბრიტანეთი არის მეორე ყველაზე პოპულარული სასწავლო დანიშნულების ადგილი მსოფლიოში. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2017/18 წლისათვის, ბრიტანეთის უნივერსიტეტში 458,520 საერთაშორისო სტუდენტი იღებდა განათლებას.

2017/18 წლის მონაცემებით, გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს სასწავლებლებში, წინა წლებთან შედარებით, საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი 3.6%-ით გაიზარდა. (International Student Statistics in UK 2019, 2019)

ქვეყნები, საიდანაც საერთაშორისო სტუდენტების დიდი რაოდენობა ჩადის დიდ ბრიტანეტში სასწავლებლად

ჩინეთი, ინდოეთი, აშშ, ჰონგ-კონგი და მალაიზია არიან ქვეყნები, საიდანაც ყველაზე მეტი სტუდენტი მიემგზავრება დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად. ამ ხუთი

ქვეყნის სტუდენტები დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში საერთაშორისო სტუდენტების საერთო რაოდენობის 38% -ს შეადგენენ. ჩინეთი, ამ მხრივ, პირველ ადგილს იკავებს. 2017/18 წლების განმავლობაში, 106,530 ჩინელი სტუდენტი ჩაირიცხა ბრიტანეთის უნივერსიტეტებში, მას მოჰყვება ინდოეთი 19,750 სტუდენტით და აშშ - 18,885 სტუდენტით.

ევროკავშირის სტუდენტები ბრიტანეთის უნივერსიტეტებში უცხოელი სტუდენტების 30%-ს შეადგენენ. 2017/18 წლებში, ევროკავშირის ქვეყნებიდან 139,150 სტუდენტი ჩაირიცხა ბრიტანეთის უნივერსიტეტებში. (International Student Statistics in UK 2019, 2019)

ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც დიდი ბრიტანეთში ყველაზე მეტ საერთაშორისო სტუდენტებს აგზავნიან

იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და საბერძნეთი ლიდერობენ ევროკავშირის ქვეყნებიდან დიდი ბრიტანეთში სტუდენტების რაოდენობის მხრივ. 2017/18 წლებში, იტალიიდან 13,985 სტუდენტი სწავლობდა დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთიდან (13,660), ხოლო გერმანიიდან (13,545). ევროკავშირიდან სასწავლებლად წასული პირველკურსელების რიცხვი 62,270 სტუდენტს შეადგენდა, ხოლო 76,880 სტუდენტი დამამთავრებელ წლებში სწავლობდა. (International Student Statistics in UK 2019, 2019)

საერთაშორისო სტუდენტების სტატისტიკა

დიდ ბრიტანეთში, ინგლისი არის ყველაზე პოპულარული ადგილი საერთაშორისო სტუდენტებისთვის. 2017/18 წლებში, ინგლისის უნივერსიტეტებში 377,140 საერთაშორისო სტუდენტი ირიცხებოდა, შოტლანდიაში 54,235, უელსში - 21,350 და ჩრდილოეთ ირლანდიაში კი - 5,765. ინგლისის უნივერსიტეტებში დაფიქსირდა 108,335 ევროკავშირის სტუდენტი, შოტლანდიში (21,605), უელსში (6,640) და ჩრდილოეთ ირლანდიში (2,565). (International Student Statistics in UK 2019, 2019)

ყველაზე პოპულარული მიმართულებები საერთაშორისო სტუდენტებისთვის ბრიტანეთში

ბრიტანეთში საერთაშორისო სტუდენტებისთვის ყველაზე სასურველი ხუთი მიმართულებაა: ბიზნესი და ადმინისტრაციული კვლევები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სოციალური კვლევები, შემოქმედებითი ხელოვნება და დიზაინი, ბიოლოგიური მეცნიერებები. გასულ წელს, ბრიტანეთში 126,955 საერთაშორისო სტუდენტი ირიცხებოდა ბიზნეს-ადმინისტრაციულ კვლევებში აკადემიურ ხარისხის მოსაპოვებლად, რის გამოც სხვა ფაკულტეტებში პირველ ადგილს იკავებს. ყველაზე მზარდად მოთხოვნადი მიმართულება კი თანდათანობით კომპიტერული მეცნიერებები ხდება. სტატისტიკის მიხედვით, 2016/17 და 2017/18 წლებში საერთაშორისო სტუდენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელი 13,8% -ით გაიზარდა (19,330-დან 22,000-მდე). (International Student Statistics in UK 2019, 2019)

ბრიტანეთის საერთაშორისო სტუდენტები აკადემიური დონის მიხედვით

დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო სტუდენტების უმრავლესობა სწავლობს ბაკალავრიატზე. სტატისტიკურად, ბრიტანეთში საერთაშორისო სტუდენტების 56% (255,785) ირიცხება ბაკალავრიატზე. 104,555 სტუდენტი პირველკურსელია, ხოლო 151,145 სტუდენტი სწავლობს ბაკალავრიატის შემდეგ წლებშიც. (International Student Statistics in UK 2019, 2019)

როგორ შეუძლია საერთაშორისო სტუდენტს დიდ ბრიტანეთში სწავლის გაგრძელება

იმისათვის, რომ საერთაშორისო სტუდენტმა შეძლოს სწავლის გაგრძელება დიდ ბრიტანეთში უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:

UCAS (the Universities and Colleges Admissions Service - უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში მიღების სერვისი) არის საერთაშორისო სტუდენტის „ბილეთი“ ამ ქვეყანაში სასწავლებლად.

აშშ-ის სისტემისაგან განსხვავებით, სადაც საჭიროა უნივერსიტეტში სპეციფიკური განაცხადების გაკეთება, დიდ ბრიტანეთში საკმარისია ერთი პირადი განცხადების დაწერა, სადაც საერთაშორისო სტუდენტებს მაქსიმუმ ხუთი უნივერსიტეტის არჩევის საშუალება ეძლევათ და ამ ყველაფრისთვის მხოლოდ ერთი ონლაინ პორტალის შევსებაა საჭირო. (UK University Entry Requirements, 2019)

დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი აკმაყოფილებდეს ყველა წაყენებულ მოთხოვნას.

ამისათვის მას სჭირდება:

- პასპორტი;
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა;
- სწავლის დაფინანსების დამადასტურებელი საბუთი;
- ტუბერკულოზის ტესტი (გარკვეულ ქვეყნებში);
- და შესაძლოა მეტი მოთხოვნებიც არსებობდეს.

ბრიტანეთში სწავლისათვის საჭიროა, სტუდენტმა ჩააბაროს IELTS ან მისი ექვივალენტი გამოცდა, რათა დაამტკიცოს ინგლისური ენის საკმარის დონზე ცოდნა კურსის წარმატებით გასავლელად.

ხოლო თუკი სტუდენტს ლონდონში სწავლა სურს, ამისათვის მან უნდა წარადგინოს იმის მტკიცებულება, რომ მისი ფინანსური შესაძლებლობები სწავლის მსვლელობისას ყოველთვიურად შეადგენს 1,020 ფუნტს (1,430$). ლონდონის გარდა სხვა ადგილას სწავლის შემთხვევაში ეს თანხა £ 820 ($1,150) შეადგენს.

დიდი ბრიტანეთის ზოგიერთ ქვეყანაში, სხვა ქვეყნის სტუდენტებს მოეთხოვებათ ტუბერკულოზის ტესტის ჩაბარება, რათა მათ მისცენ სწავლის უფლება.

UCAS არის ვებ-გვერდი, რომელიც რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს ყველა განაცხადის ვადასთან დაკავშირებით, რათა მათ არ გამოეპაროთ ვადის ფარგლებში დარეგისტრირება და არჩეული ხუთი უნივერსიტეტის დაფიქსირება

UCAS-ს მიერ მინიჭებული სპეციალური კოდებით. (UK University Entry Requirements, 2019)

პირადი განცხადების დაწერა

სტუდენტის პირადი განაცხადი მას განარჩევს სხვა სტუდენტებისგან. ის ითვლება ერთგვარი წარმატების გასაღებად და კონკურენტუნარიანად აქცევს იმ სტუდენტს, ვისაც სხვა სტუდენტების მსგავსი შეფასებები აქვს.

განაცხადში სტუდენტმა უნდა ისაუბროს მისი ინტერესების შესახებ, რატომ სურს კონკრეტულ უნივერსიტეტში ჩაბარება, რატომ აირჩია ეს კურსი და ამ კურსის ფარგლებში რა ცოდნა და უნარები აქვს დაგროვებული. (UK University Entry Requirements, 2019)

UCAS-ს ფუნქცია

UCAS ერთგვარი ნავიგაციის სისტემაა, რომელიც სტუდენტებს ეხმარება მთლიანი პროცესის სწორად შესრულებაში. ამ გვერდის მეშვეობით, სტუდენტის მიერ შევსებული აპლიკაცია ეგზავნება იმ კონკრეტულ უნივერსიტეტებს, რომელიც მან შეარჩია.

ამჟამად, UCAS მეშვეობით ერთ უნივერსიტეტში და ერთ კურსზე აპლიკაციის გაგზავნის ღირებულება £13-ია ($18), ხოლო ერთზე მეტი აპლიკაციის შემთხვევაში ღირებულება შეადგენს £24 ($33). გადახდისა და აპლიკაციის გაგზავნის შემდეგ სტუდენტი ელოდება პასუხს.

თუკი სტუდენტი წარმატებით გაივლის პირველ ეტაპს, პასუხად მიიღებს CAS-ს ფორმას (Confirmation of Acceptance of Studies - სწავლის მოთხოვნის დაკმაყოფილება). ეს არის ვირტუალური დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილი უნიკალური ნომრით სტუდენტი იგებს ოფიციალურად მიღების დასტურს უნივერსიტეტისგან.

ეს დოკუმენტი აუცილებელია სტუდენტური ვიზის მისაღებადაც. გარდა ამისა, ის შეიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც უნდა იცოდეს სტუდენტმა, მათ შორის

კურსის დეტალები, დაწყების თარიღი, სწავლის ღირებულება და უნივერსიტეტის ოფიციალური დასტური. (UK University Entry Requirements, 2019)

საემიგრაციო ჯანმრთელობის დაზღვევის საფასური

სწავლის განმავლობაში უფასო ჯანდაცვის მისაღებად სტუდენტმა უნდა გადაიხადოს £ 150 ($210), რაც წარმოადგენს საემიგრაციო ჯანმრთელობის საფასურს (Immigration Health Surcharge - IHS), რომელიც ძალაში ერთი წლის განმავლობაში იქნება. სტუდენტს ამ თანხის გადახდა ონლაინ რეჟიმშიც შეუძლია.

ვიზასთან დაკავშირებული საკითხები

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი დიდ ბრიტანეთში სწავლას სრული კურსის განმავლობაში გეგმავს მას დასჭირდება Tier 4 - (ზოგადი) სტუდენტური ვიზა, ხოლო თუკი მისი სწავლის პერიოდი ექვი თვე ან უფრო ნაკლები ვადით გრძელდება, მაშინ სტუდენტს შეუძლია, ონლაინ აპლიკაციის მეშვეობით, ვიზიტორის ვიზის (Students Visitor Visa) აღება.

Tier 4 ვიზისთვის სტუდენტმა უნდა გადაიხადოს £ 310 ($ 435) და £ 83 ($ 116) ექვსთვიანი სტუდენტური ვიზის შემთხვევაში. (UK University Entry Requirements, 2019)

ვიზის მისაღებად საჭირო ინტერვიუ

სტუდენტს იწვევენ სავიზო აპლიკაციის ცენტრში, ან შესაძლოა გასაუბრება მოხდეს ონლაინ რეჟიმში, სადაც კითხვებს დაუსვამენ უნივერსიტეტის, კურსის და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სტუდენტმა დარწმუნებით უნდა ისაუბროს თუ რატომ სურს მას დიდ ბრიტანეთში სწავლა. სავიზო ინტერვიუს დროს სტუდენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- UKVI-ს ტუბერკულოზის სკრინინგის სერტიფიკატი, დამტკიცებული TB-ს სატესტო ცენტრის მიერ;
- CAS ფორმა;
- მოქმედი პასპორტი;

- CAS-ის მოთხოვნების შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- ფინანსური შესაძლებლობის მტკიცებულება;
- ორი პასპორტის ფოტოსურათი;
- CAS-ს ფორმის მიხედვით მოთხოვნილი აკადემიური სერტიფიკატები;
- დაბადების მოწმობის ორიგინალი (თარგმნილი ინგლისურ ენაზე);
- საემიგრაციო სამედიცინო დაზღვევისთვის საჭირო თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. (UK University Entry Requirements, 2019)

დიდ ბრიტანეთში წასვლის ბოლო ეტაპი

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გამგზავრებამდე ვერ მონახა სწავლის პერიოდში საცხოვრებელი ადგილი, მაშინ მას შეუძლია დაუკავშირდეს თავად უნივერსიტეტს და სთხოვოს დახმარება.

თუკი სტუდენტი მიემგზავრება ექვს თვეზე ნაკლებ ხნიან სასწავლო პროგრამაში, მაშინ ის ბრიტანეთში სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე უნდა ჩავიდეს, ხოლო ექვს თვეზე დიდი ხნის განმავლობაში სწავლის შემთხვევაში სტუდენტი დანიშნულების ადგილას 30 დღით ადრე უნდა იყოს. (UK University Entry Requirements, 2019)

რატომ დიდი ბრიტანეთი - დიდ ბრიტანეთში მიღებული ხარისხის უპირატესობები

დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტები აკადემიური წარმატებებითა და სწავლების ხარისხით დიდი რეპუტაციით სარგებლობენ საერთაშორისო სტუდენტებში. ქვეყანა, რომელიც ათასობით პროგრამას სთავაზობს სტუდენტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მილიონზე მეტი საერთაშორისო სტუდენტისათვის საოცნებო ადგილია. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

აკადემიური უპირატესობა

სტუდენტი, რომელიც განათლებას იღებს დიდ ბრიტანეთში, მის ხარისხს აღიარებენ და პატივს სცემენ ყველგან, რაც თავის მხრივ, წარმატებულ კარიერას და მაღალ ხელფასს ნიშნავს. აკადემიური სარგებელი, ალბათ, მთავარი მიზეზია, რის გამოც ბრიტანეთში სწავლა შეიძლება საუკეთესო გადაწყვეტილება იყოს სტუდნეტის ცხოვრებაში. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

ყველა ბრიტანული უნივერსიტეტი მსოფლიოში აღიარებულია შემოქმედებითი და სტუდენტზე მორგებული გარემოთი. მათი სტანდარტები წარმოუდგენლად წარმატებულია და წელიწადში ერთხელ, უნივერსიტეტები ტესტირების მეშვეობით მოწმდებიან თუ რამდენად კარგად პასუხობენ ისინი თანამედროვე გამოწვევებს. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

რის სწავლა შეუძლიათ საერთაშორისო სტუდენტებს დიდ ბრიტანეთში?

დიდ ბრიტანეთში უამრავი უმაღლესი სასწავლებელია და თითქმის ყველა მათგანს აქვს შესაძლებლობა მიიღოს საერთაშორისო სტუდენტები. ამასთანავე სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს თავისი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისი პროგრამა. ბრიტანეთის უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ მდიდარი ისტორია და ტრადიცია, რათა უზრუნველყონ მსოფლიო კლასის განათლება მათი სტუდენტებისათვის. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

ფინანსური უპირატესობა

ბრიტანეთში სასწავლებლად საერთაშორისო სტუდენტებისათვის თავად ბრიტანული უნივერსიტეტები და საერთაშრისო ორგანიზციები გამოყოფენ სხვადასხვა სახის სტიპენდიებს, გრანტებსა და დაფინანსებებს. 20,000-ზე საერთაშორისო სტუდენტზე მეტი კი ფინანსურ მხარდაჭერას ბრიტანეთის მთავრობისგან იღებს და სწავლის პერიოდში მუშაობის საშუალებასაც აძლევენ. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

სხვა უპირატესობა

ყოველწლიურად, 200,000-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი ინგლისში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტლებას იღებს, ხოლო მათი რიცხვი დიდი ბრიტანეთის მასშტაბით გაცილებით დიდია. დიდ ბრიტანეთში თავს იყრის სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რაც საერთაშორისო სტუდენტს საშუალებას აძლევს გაეცნოს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს. (Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree, 2019)

საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაცია დიდ ბრიტანეთში სწავლისას

ეჭვგარეშეა, რომ საერთაშორისო სტუდენტებს კარგი ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ ქვეყნისათვის, ასევე გავლენას ახდენენ როგორც ადგილობრივ სტუდენტებზე ასევე სწავლების ხარისხზე. უნივერსიტეტები მრავალი ადგილობრივი ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სექტორია; ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბრიტანეთის ეკონომიკის ინოვაციაში. თუ მთავრობის სტრატეგია წარმატების მიღწევაა, მას სჭირდება ძლიერი უმაღლესი განათლების სექტორი და შეუძლებელია ამის წარმოდგენა საერთაშორისო სტუდენტების მნიშვნელოვანი და ძლიერი რეკრუტირების გარეშე. ასევე დადასტურებული ფაქტია, რომ ადგილობრივ სტუდენტებს უფრო დადებითი შეხედულებები აქვთ განათლების კუთხით საერთაშორისო სტუდნეტების გავლენის საკითხზე, ვიდრე უარყოფითი. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ბრიტანეთში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა საერთაშორისო სტუდნეტებისადმი კეთილშობილადაა განწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიგრაციის მიმართ ცუდი დამოკიდებულება აქვთ. (Impact of international students in the UK, 2018)

არსებობს მრავალი გზა, რომ საერთაშორისო სტუდენტებთან ინტეგრაციამ გავლენა მოახდინოს ადგილობრივი სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებაზე, რამაც შეიძლება უფრო ფართო სახე მიიღოს და გლობალურ და კულტურულ ცნობიერებას შეეხოს; საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ შემოიღონ განსხვავებული პერსპექტივები, თუნდაც, სულ მცირე, საკლასო დისკუსიებში;

შეიძლება შეიცვალოს სწავლების სტილიც, რადგან მასწავლებლებს ან ლექტორებს მოუწიოთ მათი სწავლების მეთოდების ადაპტირება უფრო მრავალფეროვან აუდიტორიაზე; შეიძლება ეს შეეხოს ენის საკითხებსაც, ზოგიერთი საერთაშორისო სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის არასაკმარისი დონიდან გამომდინარე. (Impact of international students in the UK, 2018)

ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის ინტეგრაცია შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის გარეთაც. მაგალითად, საცხოვრებლისა და სოციალური მოვლენების გაზიარებით, რაც საერთაშორისო სტუდენტებს მისცემს შანს გახდნენ იმ სოციუმის წევრები სადაც მათ ცხოვრება უწევთ. ეს კი ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციას, კულტურული ცნობიერების ამაღლებას.

ეროვნული სტუდენტურ წლიური კვლევა (NSS) გამოკითხვას უტარებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სტუდენტებს, თუ რამდენად კმაყოფილები არიან თავიანთი სასწავლო პროგრამით, გარემოთი და ა.შ.

ამ გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ საერთაშორისო სტუდენტები გავლენას ახდენენ სტუდენტებში სასწავლო პროგრამის კმაყოფილების დონეზე. მაგალითად, როგორც აღმოჩნდა, ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები დადებით გავლენას ახდენენ, ხოლო ევროკავშირის არაწევრი სტუდენტები უარყოფითის, თუმცა, განსხვავება მათ შორის მცირეა. (Impact of international students in the UK, 2018)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ბრიტანეთი ნამდვილად პასუხობს უმაღლესი განათლების მიმართ წაყენებულ საერთაშორისო მოთხოვნებს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მეორე ადგილს იკავებს ევროკავშირის ქვეყნებში საერთაშორისო სტუდენტების რიცხვით, მიუხედავად სწავლის მაღალი საფასურისა.

2.2. უკრაინა და საერთაშორისო სტუდენტები

ახლა კი განვიხილავ უკრაინის მაგალითს, რომელიც უფრო ახლოს დგას ქართულ საგანმანათლებლო რეალობასთან.

უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძირითადი სტატისტიკის გათვალისწინებით, უკრაინაში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საერთაშორისო სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. საერთაშორისო დეპარტამენტის 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 147 ქვეყნის 70000 სტუდენტი განათლებას იღებს უკრაინაში. უკრაინაში არსებობს და ფუნქციონირებს უნივერსიტეტები, რომელთა დიდი რიცხვიც დაარსდა 205 წლის წინ. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

რატომ უკრაინა?

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა უკრაინაში საჯაროა. ქვეყანაში არსებობს მხოლოდ რამდენიმე კერძო უნივერსიტეტი. უცხოელ სტუდენტთა უმრავლესობა კი ირჩევს სახელმწიფო უნივერსიტეტებს. ეს უნივერსიტეტები იღებენ აკრედიტაციას უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, რათა მათ შეძლონ შესაბამისი მომსახურებისა და განათლების შეთავაზება საერთაშორისო სტუდნეტებისთვის. ის თუ რატომ ირჩევენ უცხოელი სტუდენტები უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებს, შემდეგი მიზეზებით აიხსნება:

- სახელმწიფო აკრედიტებული უნივერსიტეტები;

- ხელმისაწვდომი ფასები;

- სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები;

- დოკუმენტების შეგროვების მარტივი ეტაპები;

- დაბალი საცხოვრებელი ფასები;

- მეგობრული მოსახლეობა;

- ბევრი საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამა.

ფაკულტეტების არჩევა საერთაშორისო სტუდენტებს წელიწადში ორჯერ შეუძლიათ. ძალიან მოსახერხებელია უკრაინაში სწავლის დაგეგმვა, სტუდენტებს არ

აწუხებთ სავიზო შეფერხებები, ან სხვა პრობლემები. სტუდენტებს განათლების მიღება შეუძლიათ სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. უნივერსიტეტის დიპლომები აღიარებულია ევროპაში, ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. უკრაინის სახელმწიფო უნივერსიტეტების დიდი ნაწილი საერთაშორისო სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებას პოპულარულ კომპანიებისა და საწარმოებში. ასევე უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ კომფორტულ საცხოვრებელ პირობებს - სტუდენტს შეუძლია ან უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში იცხოვროს ან იქირაოს ბინა, სურვილისამებრ.

სტუდენტებმა, რომლებმაც არ იციან ინსტრუქციის ენა, მათთვის შექმნილია სპეციალური მოსამზადებელი პროგრამა, რომელიც ადაპტირებულია სამ ენაზე: რუსული, უკრაინული, ინგლისური. სწავლების პირველი სემესტრი გამოყოფილია მხოლოდ ენის შესაწავლად, ხოლო მეორე სემესტრიდან სხვა საგნების სწავლებაც ემატება. პროგრამის დასრულების შემდეგ აპლიკანტი იღებს სერტიფიკატს, რომლის მეშვეობითად უკრაინის ნებისმიერ უნივერსიტეტში შეუძლია მოეწყოს. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

უკრაინის უნივერსიტეტები

დღეს უკრაინაში დაახლოებით 330 უმაღლესი სასწავლებელია. მათი უმრავლესობა სახელმწიფოს საკუთრებაა. ხარკოვში ყველაზე ბევრი უნივერსიტეტი და უცხოელი სტუდენტი იყრის თავს, მაგრამ კიევი, სუმი, ლვოვი და ოდესაც პოპულარული ქალაქებია საერთაშორისო სტუდენტებისთვის. უკრაინაში ყველაზე პოპულარული და რეიტინგული უნივერსიტეტებია:

- კიევის ეროვნული ტარას შევჩენკოს უნივერსიტეტი;

- კიევის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი;

- სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- ხარკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი;

- ივან ფრანკოს სახელობის ლვოვის ეროვნული უნივერსიტეტი;

- ლვოვის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი;

- ხარკოვის ეროვნული საავიაციო უნივერსიტეტი;

- ხარკოვის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი;

- კიევის საავიაციო უნივერსიტეტი.

ეს უნივერსიტეტები უცხოელ სტუდენტებს სთავაზობენ მრავალ საგანმანათლებლო პროგრამას, როგორიცაა მედიცინა, სტომატოლოგია, მენეჯმენტი, საინჟინრო, ფინანსები, ეკონომიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, კომპიუტერული მეცნიერებები, ტურიზმი, ავიაცია, საჰაერო ხომალდების შენარჩუნება, ენერგეტიკა, ელექტროტექნიკა, ეკოლოგია, ფილოლოგია, თარგმანი, ისტორია და სხვა აკრედიტირებული პროგრამები. სწავლება მიმდინარეობს სამ ენაზე: ინგლისური, უკრაინული, რუსული, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს აირჩიოს სასურველი ფაკულტეტი. 2018 წლის სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩამოდის ინდოეთიდან, აზერბაიჯანიდან, მაროკოდან, უზბეკეთიდან, თურქეთიდან, ნიგერიდან და სხვა. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

სწავლის საფასური უკრაინაში

უკრაინული უნივერსიტეტები სტუდენტებს სთავაზობენ ხელმისაწვდომ ევროპულ განათლებას. გადამზადების კურსის საფასური დამოკიდებულია სასურველ ფაკულტეტზე, უნივერსიტეტსა და ქალაქზე. ფასები იწყება წელიწადში $1000/2000$ დოლარიდან უნივერსიტეტსა და სწავლების ენის მიხედვით. მაგალითად, ინგლისურად სწავლება უფრო ძვირია ვიდრე რუსულ ენაზე. ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლების ფასები იწყება წელიწადში 1,500 აშშ დოლარიდან და იზრდება 2,500 აშშ დოლარამდე, რაც დამოკიდებულია სპეციალობასა და სწავლების ენაზე. სამედიცინო სპეციალობები ყველაზე ძვირადღირებულად ითვლება, წელიწადში 3000 აშშ დოლარიდან 4,500 აშშ დოლარამდე, რაც დამოკიდებულია ფაკულტეტზე და

სწავლების ენაზე (რუსული, უკრაინული, ინგლისური). (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

კომპიუტერულ სპეციალობებს წელიწადში 1,400 აშშ დოლარიდან 2,400 აშშ დოლარამდე მერყეობს. უცხოელებთან ერთად, ამ ფაკულტეტებზე ბევრი უკრაინელი მოქალაქე სწავლობს. ერთ-ერთი პოპულარული სპეციალობა ავიაციაა. საავიაციო სპეციალობებში კიევი და ხარკოვი ლიდერობენ. ფასები იწყება 2,200 აშშ დოლარიდან და იზრდება 3000 აშშ დოლარამდე.

ხოლო რაც შეეხება გამოცდებს, ჩაბარება ხდება წელიწადში ორჯერ. ეს კი ძალიან მოსახერხებელია მათთვის ვისაც პარალელურ რეჟიმში უწევს მუშაობა, ან ვერ ახერხებს საზღვარგარეთ სწავლის განმავლობაში ცხოვრებას. სწავლის გადახდა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ, წელიწადში ორჯერ ან სამჯერ გაყოფით. მაგრამ, პირველ წელიწადს, უნივერსიტეტმა შეიძლება მოითხოვოს სწავლის საფასურის სრულად გადახდა. სწავლის გადახდა შეიძლება მოხდეს განვადებითაც. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

საცხოვრებელი უკრაინაში

უცხოელ სტუდენტებს ურჩევნიათ ცხოვრება უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებში. სტუდენტებს მხოლოდ 280-350 აშშ დოლარის გადახდა უწევთ წელიწადში. თუკი უკეთესი საცხოვრებელი პირობები სურთ მათ შეუძლიათ ცალკე იქირაონ ბინაც. ბინის ფასი კი განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ქალაქში უწევს სტუდნეტს ცხოვრება და სწავლა. მაგალითად, ქალაქ სუმში უცხოელ სტუდენტს შეუძლია იქირაოს 1-ოთახიანი ბინა ახალაშენებულ კორპუსში ყველა პირობით თვეში 200$-ად, ხოლო კიევის ან ხარკოვის ფასები თვეში 300-350 აშშ დოლარიდან იწყება.

საცხოვრებელი და აუდიტორიები განთავსებულია იმავე შენობაში, სადაც მოსამზადებელი განყოფილებაა. ეს კი ძალიან მოსახერხებელია მათთვის, ვინც არ იცის ენაზე და არ უწევს უნივერსიტეტში წასვლა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებით. ცალკეულ ოთახში არის 2 ან 3 სტუდენტი. თითოეული მონაკვეთისთვის არის გამოყოფილი ცალკე საშხაპე ოთახი და საპირფარეშო. გარდა ამისა, სტუდენტებს

აქვთ დიდი სამზარეულო, გაზის ღუმელი და სხვა საჭირო საყოფაცხოვრებლო ნივთები. საერთო საცხოვრებლები დაცულია 24 საათის განმავლობაში, დამონტაჟებულია უშიშროების კამერები და კონტროლდება სტუმრების ვიზიტები. სტუმრების მონახულების და მიღებისთვის გამოყოფილია რამდენიმე საათი. შენობაში აკრძალულია მოწევა. ტერიტორიები გაწმენდილია და ყველა პირობაა შექმნილი რათა სტუდნეტმა სწავლის შემდეგ დასვენება შეძლოს, იქნება ეს საცურაო აუზები თუ სხვადასხვა სპორტის წრეები. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019)

უკრაინის უნივერსიტეტები მსოფლიოს TOP რეიტინგებში

დღეისათვის, უკრაინის რამდენიმე უნივერსიტეტი შედის მსოფლიოს პრესტიჟული უნივერსიტეტების სიებში, როგორებიცაა QS World Universities Rankings, Times Higher Education. ასეთ უნივერსიტეტებში გამოირჩევა კიევის, შევჩენკოს, სუმის, კიევის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ლვოვის უნივერსიტეტი და ა.შ. ამ უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მათი სახელები ამ სიაში მოხვდნენ. ამ სიაში შეყვანილი მსოფლიოს 1000 უნივერსიტეტიდან ეს უნივერსიტეტები 450-ე ან 750-ე ადგილს იკავებენ. ეს კი კარგ შედეგზე მეტყველებს, იმის გათვალისწინებით, რომ სიის სათავეში ამერიკული და ინგლისური უნივერსიტეტებია. (INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES, 2019).

რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხებს უკრაინაში, მსგავსი კვლევა, საქართველოს მსგავსად, არც ამ ქვეყანაში ჩატარებულა. ეს ფაქტი შეგვიძლია მივიჩნიოთ დიდ პრობლემად, რადგან ასეთი საკითხის კვლევა ნიშვანს, რომ კონკრეტული ქვეყანა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო განათლების გაუმჯობესებაში. აუცილებელია ქვეყანამ ან თუნდაც უნივერისტეტმა იცოდეს საერთაშორისო სტუდენტის თვალით დანახული მისი განათლების სისტემის, სოციუმის დამოკიდებულების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

თავი III - საერთაშორისო სტუდენტები და საქართველო

ამ თავში განვიხილავ თავად საქართველოში არსებულ მდგომარეობას საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის თვალსაზრისით. თუ რა ფორმით ხდება საერთაშორისო სტუდენტების მიღება უნივერსიტეტებში, რა რაოდენობის თანხის გადახდა უწევს როგორც სწავლაში, ასევე საცხოვრებელში; საერთაშორისო სტუდენტების რიცხვის მიხედვით, რა სტატისტიკური მონაცემები არსებობს და ბოლოს როდის მოხდა ამ მონაცემების განახლება; ასევე განვიხილავ საერთაშორისო სტუდენტების შესახებ ჩატარებულ კვლევას, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება საქართველოს ეკონომიკაზე მათი გავლენის შესახებ.

საქართველოში წელიწადში დაახლოებით ათი ათასი საერთაშორისო სტუდენტი ჩამოდის სასწავლებლად. იმისათვის, რომ მათ სასწავლებლად ჩამოსვლა შეძლონ უნდა გაიარონ შემდეგი პროცედურები:

სააპლიკაციო პროცესი

განაცხადის წარდგენა საქართველოში შედარებით მარტივი პროცესია. საერთაშორისო სტუდენტმა უნდა გააგზავნოს გარკვეული სახის დოკუმენტები იმ კონკრეტულ უნივერსიტეტში, რომლითაც დაინტერესებულია. მაგრამ სანამ უშუალოდ ამას გააკეთებდეს, უმჯობესია ინფორმაცია ჩაბარების პროცედურებთან დაკავშირებით მიიღოს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ან თვითონ ფაკულტეტის მეშვეობით. საკონტაქტო ინფორმაცია კი სტუდენტს შეუძლია იხილოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. საქართველოში ძალიან კარგი პირობებია საერთაშორისო სტუდენტების მიღების თვალსაზრისით, რადგან არანაირი სავალდებულო გამოცდა ან ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი არაა საჭირო ჩაბარებისას. მაგრამ უმჯობესია სტუდენტის ინგლისური ენის დონე B2-სა და C1-ს შორის იყოს. საერთაშორისო სტუდნეტს სჭირდება შემდეგი დოკუმენტები:

- ნოტარიულად დამოწმებული სკოლის სერტიფიკატი;

- პირადობის მოწმობა;
- შევსებული განაცხადის ფორმა;
- განაცხადის საფასური განსხვავდება უნივერსიტეტის მიხედვით, რომლის საფასურიც უკან აღარ უბრუნდება აპლიკანტს და შეადგენს დაახლოებით 100 აშშ დოლარს.

სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და პირობები დამოკიდებულია სწავლის საფეხურზე და უნივერსიტეტზე. განაცხადის შეტანა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, რადგან სწავლა საქართველოში ორ სემესტრადაა დაყოფილი. (Kakichashvili, 2019)

საემიგრაციო პოლიტიკა

სასწავლო პროგრამაზე მიღების შემდეგ საერთაშორისო სტუდენტმა უნდა მიიღოს საცხოვრებელის ნებართვა საქართველოში. ამ პროცესისათვის სტუდენტმა უნდა შეავსოს იუსტიციის სამსახურის განაცხადი, რომლისთვისაც საჭიროა დამადასტურებელი წერილი უნივერსიტეტიდან, რომ ნამდვილად ჩაირიცხა, საიდენტიფიკაციო დოკუმენტი და ოფიციალურად დადგენილი საფასურის გადახდა. სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ პროცესს დაახლოებით 4-დან 6 კვირამდე სჭირდება.

საცხოვრებელ ვადებთან დაკავშირებით საქართველოს აქვს ძალიან ლოიალური პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნის მაცხოვრებლებისათვის, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს შეუძლია დარჩეს სპეციალური ნებართვის გარეშე, თუკი ევროკავშირის რომელიმე ქვეყნიდან ჩამოდის. (Kakichashvili, 2019)

სწავლის საფასური

სწავლის საფასური დამოკიდებულია უნივერსიტეტზე - კერძოა ის თუ სახელმწიფო. სახელმწიფო უნივერსიტეტის საფასური კერძოსთან შედარებით უფრო იაფია. საქართველოში ყველაზე პოპულარული საერთაშორისო სტუდნეტებისთვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აღმოჩნდა, ვინაიდან ამ სტუდნეტებს არ ექმნებათ დიპლომის აღიარების პრობლემა საკუთარ ქვეყანაში. ბიზნესისა და

ეკონომიკის ფაკულტეტი კერძო უნივერსიტეტებში უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს და საფასურიც შედარებით მაღალია. ის მერყეობს დაახლოებით 3500-4500 აშშ დოლარმდე წელიწადში სასწავლო კურსისა და დონის მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ღირებულება მოიცავს სტუდენტის ჯანმრთელობის დაზღვევასაც. ხოლო საჯარო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური დაახლოებით 1000$-ია. (Kakichashvili, 2019)

ხარჯები, საცხოვრებელი და სტუდენტების საარსებო მინიმუმი

საშუალოდ, სტუდენტს 300-400GEL სჭირდება თვეში საარსებოდ, რაც შეადგენს დაახლოებით 100-130EUR/130-160USD. ხოლო რაც შეეხება საცხოვრებელს, ერთოთახიანი ბინის ქირაობა შესაძლებელია დაახლოებით 120-150 აშშ დოლარად. (Kakichashvili, 2019)

სტუდენტური ცხოვრება საქართველოში

საერთაშორისო სტუდენტებისთვის საქართველოში უსაფრთხო და საკმაოდ მეგობრული გარემოა. როგორც ამჟამინდელი სტუდენტები ამბობენ, ისინი ძირითადად ქართველ სტუდნეტებთან მეგობრობენ და აკადემიურ ცხოვრებასთან დაკავშირებითაც არ ექმნებათ პრობლემები, ასევე ქუჩაშიც უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს. საერთაშორისო სტუდენტისთვის საქართველოში ცხოვრება ცოტა რთულია ენის ბარიერის გამო. მაგრამ, როგორც ისინი აღნიშნავენ, ქართული ენის არცოდნის მიუხედავად, მაინც ახერხებენ სამსახურის პოვნას, ვინაიდან ქართული ენის ცოდნა ზოგიერთ სამსახურში სავალდებეულო არაა. საერთაშორისო სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ კინოთეატრებსა და მუზეუმებში არსებული ყველა ფასდაკლება და იყვნენ აქტიურად ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. (Kakichashvili, 2019)

საერთაშორისო სტუდენტების სტატისტიკა საქართველოში

იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიოში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში თითქმის 70%-ით გაიზარდა და 2015 წლისთვის 4,5 მილიონს გადააჭარბა. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის

სტაბილურ ზრდასთან ერთად, განათლების ინტერნაციონალიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე განათლების სისტემებში. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოშიც. თუ 2013 წელს საქართველო 4 ათასზე ოდნავ მეტ უცხოელ სტუდენტს მასპინძლობდა, 2016 წლის მდგომარეობით ქვეყანაში 9 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს 87 სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 90%-ს შეადგენენ აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთის და რუსეთის მოქალაქეები. ამასთან, აზერბაიჯანის, ერაყის, ინდოეთის და ნიგერიის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო თურქეთის და რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა შედარებით სტაბილურია.

ყველაზე მეტ უცხოელ სტუდენტს უკვე რამდენიმე წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შევხვდებით. თუმცა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) თბილისში სწავლობს, 2.2% - ქუთაისში, ხოლო 1.8% - ბათუმში.

სამედიცინო განათლება, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია, გამორჩეულად პოპულარულია უცხოელ სტუდენტებში, რომელთა ნახევარი განათლებას მედიცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის ან სტომატოლოგიის მიმართულებით იღებს. მათი თითქმის მეოთხედი კი ბიზნესის, ეკონომიკის ან სამართლის ფაკულტეტზე სწავლობს.

უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდება უცხოენოვანი საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამების რაოდენობაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებებში. რაც იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსიტეტები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვას და მათ მოთხოვნებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით 2012 წელს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთო რაოდენობა 88 იყო, 2014 წელს 160, ხოლო 2016 წელს 205 მიაღწია. ასევე, წლიდან წლამდე იზრდება საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაც, რომლებიც უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს ნერგავენ. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები 2016 წლისაა, მას შემდეგ კი მსგავსი დონის კვლევა არ ჩატარებულა.

საერთაშორისო სტუდენტებზე ჩატარებული კვლევა საქართველოში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს დაკვეთით და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ მართული პროექტის - „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ (ENIGMMA) ფარგლებში ჩაატარა უცხოელ სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი სტუდენტების გავლენის შეფასებას საქართველოს ეკონომიკაზე. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 277 უცხოელი სტუდენტი, რომლებიც ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 10 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 12 წარმომადგენელთან. ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს იმ 8 უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სადაც ამჟამად უცხოელი სტუდენტების თითქმის 60%. ის უნივერსიტეტები, კი რომელთა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთანაც სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა, უცხოელი სტუდენტების 64%-ს მასპინძლობს. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

ISET-ის კვლევის თანახმად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად საქართველოსა და სხვა ქვეყნებში არსებულ რეკრუტირების სააგენტოებს იყენებს. ამ ინფორმაციას

ადასტურებს უცხოელ სტუდენტთა ონლაინ გამოკითხვაც, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 30%-მა საქართველოში უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივაზე ინფორმაცია სწორედ მსგავსი სააგენტოებიდან მიიღო. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენელთა თქმით, მსგავსი სააგენტოების საკომისიო ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღეისთვის ერთ მოზიდულ სტუდენტზე 1,000 აშშ დოლარსაც კი აღწევს. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

ISET-ის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში გადამწყვეტ როლს საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის, რეპუტაცია და სწავლის დაბალი საფასური ასრულებს.

საქართველოში კონკრეტული უნივერსიტეტის არჩევისას კი გამოკითხული უცხოელი სტუდენტები ინგლისურენოვანი კურსების ხელმისაწვდომობას, აკადემიური პერსონალის კვალიფიციურობას და სწავლების საფასურს აქცევენ ყურადღებას.

გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (89%) ფინანსურად დამოკიდებულია სამშობლოში დარჩენილ საკუთარ ოჯახებზე. ხოლო, მათი საშუალო წლიური დაფინანსება 7,733 აშშ დოლარს შეადგენს. ყველაზე მცირე დაფინანსება აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებს აქვთ, ხოლო ყველაზე დიდი - ერაყის.

გამოკითხული სტუდენტებისთვის დანახარჯები სწავლის საფასურზე და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე ჯამური ხარჯის 60%-ზე მეტს შეადგენს.

სწავლის საფასურს ყველაზე დიდი წილი უკავია სტუდენტების დანახარჯებში. სახელმწიფო უნივერსიტეტებში საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის წლიურ სწავლის საფასურზე დაწესებულია ზედა ზღვარი 2,250 ლარის ოდენობით. თუმცა, უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასური რამდენჯერმე აღემატება ქართველი სტუდენტებისთვის დაწესებულ გადასახადს. შედარებისთვის, ISET-ის გამოკითხვის თანახმად, საშუალო სწავლის საფასური უცხოელი სტუდენტებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 6,222 აშშ დოლარს შეადგენს. უნივერსიტეტში სწავლის დაწყების შემდეგ, როგორც წესი, სწავლის გადასახადი წლების განმავლობაში კონკრეტული სტუდენტისთვის მნიშვნელოვნად აღარ იცვლება.

მეორე მხრივ, უმეტეს უნივერსიტეტებში წლიდან წლამდე იზრდება სწავლის საფასური სტუდენტთა ახალი ნაკადებისთვის. ISET-ის ონლაინ გამოკითხვიდან ჩანს, რომ სტუდენტები, რომელთაც შედარებით გვიან აქვთ დაწყებული სწავლა უფრო მეტს იხდიან. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

ISET-ის ონლაინ გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე მაღალი წლიური სწავლის გადასახადი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტშია, ხოლო ყველაზე დაბალი თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში.

ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, უცხოელი სტუდენტებისთვის დაწესებული სწავლის დაბალი საფასური დამახასიათებელია იმ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის, რომლებიც აქცენტს აკეთებენ აზერბაიჯანელ სტუდენტებზე და აკადემიური პროგრამები მორგებული აქვთ მათ საჭიროებებზე, მაგალითად სასწავლო პროგრამები აქვთ რუსულ ენაზე ან სტუდენტებს სთავაზობენ ორენოვან პროგრამებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

გამოკითხული სტუდენტების 78%-მა აღნიშნა, რომ ისინი საკუთარ უნივერსიტეტს გაუწევდნენ დადებით რეკომენდაციას, რაც ძირითადად დაბალი სწავლის საფასურით და კვალიფიციური აკადემიური პერსონალით არის განპირობებული. სტუდენტებმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ უნივერსიტეტს არ გაუწევდნენ დადებით რეკომენდაციას, საკუთარი გადაწყვეტილება ძირითადად ახსნეს სწავლის დაბალი ხარისხით, პრაქტიკული გამოცდილების მიღების შეუძლებლობით და უკმაყოფილებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციითა და პერსონალით. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

აღსანიშნავია, რომ უცხოელი სტუდენტების დიდი უმრავლესობა გეგმავს საქართველოში განათლების მიღებას და შემდეგ ქვეყნის დატოვებას, რაც მათ სამომავლო გავლენას საქართველოს შრომის ბაზარზე დიდწილად უმნიშვნელოს ხდის. უცხოელ სტუდენტთა 65% სწავლის დასრულების შემდეგ გეგმავს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, მათ შორის 8% - საქართველოში. 30%-ზე ნაკლები

ფიქრობს სწავლის შემდეგ დასაქმებაზე, მათ შორის მხოლოდ 5% აპირებს სამუშაოს ძებნას საქართველოში. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

ISET-ის კვლევის თანახმად, სტუდენტები ყველაზე მეტს, 28 მილიონ აშშ დოლარს სწავლის საფასურში და 16.7 მილიონ აშშ დოლარს საცხოვრებელი ფართის ქირაში იხდიან. საქართველოში უცხოელი სტუდენტების ჯამური წლიური ფინანსური ხარჯი 195 მილიონ ლარს აღწევს, რაც საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6%, ხოლო მომსახურების ექსპორტის 6%-ია. რადგან უცხოელი სტუდენტების ძალიან მცირე ნაწილი გეგმავს საქართველოში დარჩენას სწავლის დასრულების შემდეგ, მათი კონტრიბუცია ადგილობრივ შრომის ბაზარზე უმნიშვნელოა.

უცხოელი სტუდენტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე განხილულია ანა ჟვანიას კვლევაში (2016). კვლევის თანახმად, უცხოელი სტუდენტების მიერ საქართველოში წლის განმავლობაში გაწეული ხარჯები უხეში და მინიმალისტური გამოთვლებით დაახლოებით 40 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. გამოთვლა გაკეთებულია ორ პარამეტრზე დაყრდნობით: 1) საშუალო სწავლის საფასური და 2) საცხოვრისზე გაწეული საშუალო ხარჯი. აღსანიშნავია, რომ ISET-ის კვლევაშიც ამ ორი პარამეტრის მიხედვით გაკეთებული გამოთვლები დიდად არ განსხვავდება ამ მონაცემებისგან და როგორც ზემოთაა აღნიშნული, დაახლოებით 45 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

როგორც კვლევა აჩვენებს, უცხოელი სტუდენტების ინტერესი ისწავლონ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მზარდია. უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში, ასევე უნივერსიტეტების განვითარებაში. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, უცხოელი სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქ-ტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ამჟამად, უცხოელი სტუდენტების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე დიდწილად მოკლევადიანია და იმ პერიოდით

შემოიფარგლება, რასაც სტუდენტები სწავლისთვის საქართველოში ატარებენ. მათი უმრავლესობა არაა დაინტერსებული საქართველოში დარჩენით სწავლის ან მუშაობის გაგრძელების მიზნით, რაც ამცირებს უცხოელ სტუდენტთა პოტენციურ გრძელვადიან ეფექტს ქვეყნის ეკონომიკაზე. მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ უცხოელი სტუდენტებისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი კიდევ უფრო გაიზრდება თუ უნივერსიტეტები გააუმჯობესებენ სწავლების ხარისხს და მომსახურებას და საშუალებას მისცემენ სტუდენტებს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება საქართველოში. (უცხოელი სტუდენტები საქართველოში, 2017)

შესაბამისად, საერთაშორისო სტუდენტის დაინტერესება საქართველოში სწავლით, დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ განვითარებასთან, ისე უმაღლესი განათლების რეფორმების გატარებასთან, ვინაიდან დღესდღეისობით, უამრავი ქვეყანა ცდილობს საერთაშორისო განათლების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და იმისათვის, რომ საქართველო ამ კუთხით კონკურენტუნარიანი იყოს, აუცილებელია საერთაშორისო განათლების დანერგვა ჩვენს ქვეყანაში. ამის კარგი მაგალითია დიდი ბრიტანეთი და მსგავსი წარმატებული ქვეყნები, რომლებიც ასეთი პოპულარობით სარგებლობენ საერთაშორისო სტუდენტებში, რომლებშიც მოიაზრება არა მხოლოდ რამდენიმე ქვეყნიდან ჩამოსული სტუდნეტები, არამედ მრავალფეროვანი ნაკადი სტუდენტებისა, განსხვავებით უკრაინისა და საქართველოსი, სადაც ინდოეთიდან და მეზობელი ქვეყნებიდან უფრო ჩამოდიან სტუდნეტები სასწავლებლად, ვიდრე სხვა ევროკავშირის ქვენებიდან.

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტების ინგეტრაციის კვლევა საქართველოში სწავლისას.

ჩვენი მიზანია გავარკვიოთ თსუ-ს ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტების ინგეტრაციის საკითხები. რა ფაქტორები განაპირობებენ საქართველოში სწავლის გაგრძელებით დაიტერესებას, ურჩევდნენ თუ არა ამ ქვეყანაში სწავლას სხვა საერთაშორისო სტუდენტებს, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ თუ სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან და ა.შ.

კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი კვლევა, ონლაინ გამოკითხვა.

კვლევის ინსტრუმენტი: რაოდენობრივი კვლევის კითხვარი (სტრუქტურირებუ-ლი). კითხვარი შევადგინეთ 2018 წელს ჩატარებულ კითხვარზე - "INTERNATIONAL STUDENT SURVEY" დაყრდნობით, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ უნივერსიტეტებს დაეხმაროს თავიანთი საერთაშორისო სტუდენტების ინტერგაციის საკითხების კვლევაში, თუ როგორ ადაპტირდებიან ისინი ახალ გარემოში, როგორია მათი კომუნიკაცია სხვა სტუდნეტებთან, რა პრობლემებს აწყდებიან ყველაზე ხშირად და ა.შ.

რესპონდენტთა შერჩევა: მიზნობრივი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100-მა საერთაშორისო სტუდენტმა. კითხვარი სულ გაეგზავნა 179 სტუდენტს. შერჩევის დაახლოებით 55%-მა მიიღო კვლევაში მონაწილეობა. კითხვარი შედგენილია ინგლისურ ენაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი სამედიცინო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტების გამოკითხვის ანგარიში

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 39% მდედრობითი სქესისაა, ხოლო 53% მამრობითი. 8%-მა კი უარი განაცხადა სქესის გამჟღავნებაზე. (დანართი 1)

რაც შეეხება ასაკს, მათი ასაკი 18 წლიდან 25 წლამდე მერყეობდა, 10-მა მათგანმა კი უარი განაცხადა ასაკის დაფიქსირებაზე. გამოკითხულთა შორის ყველაზე ხშირად განმეორებადი და საშუალო ასაკი იყო 21 წელი. (დანართი 2)

კითხვაზე თუ რომელი ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები, 64%-მა განაცხადა რომ ინდოეთიდან იყო, 17%-მა დააფიქსირა ირანი, 16%-მა თურქეთი, 7%-მა - სომხეთი, ხოლო 5%-მა აზერბაიჯანი, 1%-მა არცერთი პასუხი არ დააფიქსირა. (დანართი 3)

გამოკითხულთა 27% პირველკურსელი იყო, 49% - მეორე კურსელი და ზევით, ხოლო 24% - ბოლო კურსზე. (დანართი 4)

კითხვაზე თუ რამდენად მნიშნელოვანი იყო შემდეგი მიზეზები საქართველოში სწავლის გადაწყვეტილების მიღებისთვის, პასუხები ასე გადანაწილდა:

- საქართველოს რეპუტაცია როგორც უსაფრთხო ქვეყანა - 20% მიიჩნევს, რომ მისთვის ეს ფაქტი მნიშნელოვანი არ არის, 51%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, 22%-თვის ძალიან მნივნელოვანი, ხოლო 5%-თვის არსებითი; (დანართი 5)
- საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობა - 21% მიიჩნევს, რომ ეს მიზეზი არ არის მნიშნელოვანი, 44% თვის, რომ ნაწილობრივ მნიშვნელოვაია. 32%-თვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო 3%-თვის არსებითი; (დანართი 6)
- საქართველოს სოციალური სტაბილურობა - 19%-თვის არ არის მნიშვნელოვანი, 51%-თვის ნაწილობრივ მნიშნელოვანია, 27%-თვის ძალიან მნიშვნელოვანია, 2%-თვის არებითი, ხოლო 1%-მა არ დააფიქსირა ამ შეკითხვაზე პასუხი; (დანართი 7)

- საქართველოს განათლების სისტემის რეპუტაცია - 16%-თვის არ არის მნიშვნელოვანი, 35%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, 31%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, 14%-თვის არსებითი, ხოლო 4%-მა არ დააფიქსირა არ შეკითხვაზე არანაირი პასუხი; (დანართი 8)
- ხანგრძლივად ცხოვრების უფლების მიცემის შანსები საქართველოში - 17%-მა განაცხადა, რომ ამ ფაქტს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, 33%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანი იყო, 41%-თვის ძალიან მნიშნელოვანი, ხოლო 9%-თვის არსებითი; (დანართი 9)
- საქართველოში ნათესავის, მეგობრის ცხოვრების ან სწავლის ფაქტი არის თუ არა მნიშნელოვანი მიზეზი გადაწყვეტილების მიღებისას - 20% თვლის, რომ არ არის მნიშვნელოვანი, 36%-თვის ნაწილობრივ მნიშნელოვანია, 31%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, 11%-თვის არსებითია, ხოლო 2%-მა არ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება; (დანართი 10)
- ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა (დაფინანსებით ან სხვა საშუალებებით) საქართველოში სწავლისთვის - 23%-თვის ეს არაა მნიშნელოვანი, 23%-თვის ნაკლებად მნიშნელოვანია, 40%-თვის ძალიან მნიშვნელოვანი, 13%-თვის არსებითი, ხოლო 1%-მა არ დააფიქსირა არცერთი პასუხი; (დანართი 11)
- სწავლების ხარისხი უნივერსიტეტში - 20%-თვის არაა მნიშვნელოვანი, 42%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, 28%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, 10%-თვის არსებითია; (დანართი 12)
- ამ უნივერსიტეტის ხარისხის/დიპლომის პრესიჟულობა - 18%-თვის არ არის მნიშნელოვანი, 39%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, 32%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, 11%-თვის არსებითია; (დანართი 13)
- სწავლის ღირებულება ამ უნივერსიტეტში - 19%-თვის არ არის მნიშვნელოვანი, 33%-თვის ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, 38%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, ხოლო 10%-თვის არსებითია; (დანართი 14)

- კონკრეტულო პროგრამის არსებობა ამ უნივერსიტეტში - 24%-თვის არ აქვს მნიშვნელობა, 28%-თვის ნაწილობრივ მნიშელოვანია, 37%-თვის ძალიან მნიშნელოვანია, ხოლო 11%-თვის არსებითია; (დანართი 15)

კითხვაზე შეექმნათ თუ არა შემდეგი სახის პრობლემები სასურველ პროგრამაზე განაცხადის შეტანისა და საქართველოში ჩამოსვლის დროს, პასუხები ასე გადანაწილდა:

- ქართულ საემიგრაციო სამსახურთან დაკავშირებით - 14%-მა აღნიშნა, რომ არ შექმნია პრობლემა, 30%-მა გამოთქვა უკმაყოფილება, 44% - კმაყოფილია, 6% - ძალიან კმაყოფილია, ხოლო 7%-მა არცერთი პასუხი არ დააფიქსირა. (დანართი 16)
- საორენტაციო პროგრამა - 12% ძალიან უკმაყოფილოა, 29% - უკმაყოფილოა, 35% - კმაყოფილია, 7% - ძალიან კმაყოფილია, 17%-მა არცერთი პასუხი არ დააფქსირა. (დანართი 17)
- საერთაშორისო დეპარტამენტის ჩართულობა საერთაშორისო სტუდენტის დაკვალიანებაში - 19% ძალიან უკმაყოფილოა, 20% - უკმაყოფილოა, 29% - კმაყოფილია, 4% - ძალიან კმაყოფილია, 28%-მა არცერთი პასუხი არ დააფიქსირა. (დანართი 18)

კითხვაზე თუ ვისთან მეგობრობს საქართველოში საერთაშორისო სტუდენტი, პასუხები ასე გადანაწილდა:

- საერთაშორისო სტუდენტი მეგობრობს მხოლოდ თავისი ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტებთან - 18%-მა დააფიქსირა ეს პასუხი;
- სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან - 23%;
- ქართველ სტუდენტებთან - 19%;
- სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან და ქართველ სტუდენტებთან - 22%;
- პასუხი არ ჰქონდა - 7%-ს.
- 11%-მა პასუხი არ დააფიქსირა (დანართი 19)

კითხვაზე, რამდენად რთულია თუ არა ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობა, პასუხები შემდეეგნაირად გადანაწილდა:

- გამოკვეთილად არ ეთანხმება - 10%;
- ნაწილობრივ არ ეთანხმება - 52%;
- არც ეთანხმება და არც უარყოფს (გამოკვეთილი პოზიცია არ გააჩნია) – 16%-ს;
- ნაწილობრივ ეთანხმება - 14%;
- გამოკვეთილად ეთანხმება - 8%. (დანართი 20)

კითხვაზე, არიან თუ არა ქართველი სტუდენტები მეგობრულები, შედეგები ასეთია:

- გამოკვეთილად არ ეთანხმება - 7%;
- ნაწილობრივ არ ეთანხმება - 26%;
- არც ეთანხმება და არც უარყოფს - 27%;
- ნაწილობრივ ეთანხმება - 6%;
- გამოკვეთილად ეთანხმება - 14%. (დანართი 21)

კითხვაზე, მათი აზრით, უნივერსიტეტის თანამშრომრომლები და სტუდენტები საერთაშორისო სტუდენტის ქვეყნითა და კულტურით ინტერესდებიან თუ არა, ასეთი შედეგები მივიღე:

- გამოკვეთილად არ ეთანხმება - 9%;
- ნაწილობრივ არ ეთანხმება - 31%;
- არც ეთანხმება და არც უარყოფს - 21%;
- ნაწილობრივ ეთანხმება - 32%;
- გამოკვეთილად ეთანხმება - 7%. (დანართი 22)

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ქართველ სტუდენტებთან უნივერსიტეტის გარეთ შეხვედრა, პასუხები ასე გადანაწილდა:

- გამოკვეთილად არ ეთანხმება - 18%;
- ნაწილობრივ არ ეთანხმება - 33%;

- არც ეთანხმება და არც უარყოფს - 15%;
- ნაწილობრივ ეთანხმება -24%;
- გამოკვეთილად ეთანხმება - 10%. (დანართი 23)

მოსაზრებაზე, საქართველოში კეთილმოსურნე და ტოლერანტული საზოგადოებაა, პასუხები ასე გადანაწილდა:

- გამოკვეთილად არ ეთანხმება - 12%;
- ნაწილობრივ არ ეთანხმება - 26%;
- არც ეთანხმება და არც უარყოფს - 25%;
- ნაწილობრივ ეთანხმება - 29%;
- გამოკვეთილად ეთანხმება - 18%. (დანართი 24)

კითხვაზე, გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას ამ უნივერსიტეტს, შემდეგი პასუხები დააფიქსირეს საერთაშორისო სტუდენტებმა:

- ალბათ არ ვურჩევდი - 7%
- აუცილებლად არ ვურჩევდი - 3%;
- ალბათ ვურჩევდი - 59%;
- აუცილებლად ვურჩევდი - 21%. (დანართი 25)

კითხვაზე, ურჩევდნენ თუ არა საქართველოს სასწავლებლად ჩამოსვლას, პასუხები ასე გადანაწილდა:

- ალბათ არ ვურჩევდი - 24%
- აუცილებლად არ ვურჩევდი - 9%;
- ალბათ ვურჩევდი - 60%;
- აუცილებლად ვურჩევდი - 17%. (დანართი 26)

კითხვაზე, რამდენად კმაყოფილია სტუდენტი საქართველოში განათლების მიღების ყველა ასპექტში, მოსაზრებები ასე გადანაწილდა:

- ძალიან უკმაყოფილოა - 2%;

- უკმაყოფილოა - 18%;
- კმაყოფილია - 59%;
- ძალიან კმაყოფილია - 21%. (დანართი 27)

დასკვნა

ჩემ მიერ შესწავლილი საკითხის ანალიზის საფუძველზე, გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ საერთაშორისო სტუდენტებს არ უჭირთ ინტეგრაცია, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობიდან გამომდინარე, თავს უსაფრთხოდ გრძნობენ საქართველოში, ნაკლებად ექმნებათ ვიზასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისად საემიგრაციო საკითხების მოგვარებაც უმარტივდებათ. აღსანიშნავია, რომ მათ როგორც ადგილობრივ, ასევე სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან ნაკლებად აქვთ კომუნიკაციის პრობლემა, ვინაიდან მათთან კონტაქტს ამყარებენ როგორც საუნიუვერსიტეტო სივრცეში, ასევე უნივერსიტეტის გარეთაც, თუმცა გამოკითხულთა მნიშნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადგილობრივ სტუდნეტებთან არ მეგობრობენ და საკუთარი ქვეყნის ან სხვა საერთაშორისო სტუდენტებთან აქვთ უფრო ხშირი კონტაქტი.

როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, საერთაშორისო სტუდნეტების დიდი უმრავლესობა, ვინც თსუ-ს ინგლისურენოვან სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს, არის ინდოეთიდან ან საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან.

სტუდენტების უმეტესობას მოსწონს როგორც განათლების მიღება, ისე ცხოვრებაც და თავს კომფორტულად გრძნობენ ქართულ გარემოში. ამასთანავე დაინტერესებულნი არიან ქართული კულტურის გაცნობით და მოსწონთ ადგილობრივების დამოკიდებულება საერთაშორისო სტუდენტებისადმი. ხოლო რეკომენდაციის სახით, ურჩევდნენ თუ არა ისინი სხვა სტუდენტებს საქართველოში განათლების მიღებას, გამოკითხულთა უმრავლესობა დადებით პასუხს აფიქსირებს, თუმცა დარწმუნებით მაინც არ გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას.

რეკომენდაციები:

- საქართველოში საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციის საკითხებზე კვლევა ჯერ არ ჩატარებულა და სასურველია, ამ მიმართულებით სახელმწიფომ დაიწყოს მუშაობა, გაატაროს რეფორმები, რათა უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტი დაინტერესდეს საქართველოში სწავლით;
- გამოკითხულთა უმრავლესობა იყო ინდოეთიდან ან მეზობელი ქვეყნებიდან, რაც თავის მხრივ, ნიშნავს, რომ საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების სისტემა არ არის ცნობილი ან ვერ იწვევს საერთაშორისო დაინტერესება; მიმაჩნია, რომ საჭიროა ამ კუთხით იმ მიზეზების იდენტიფიცირება, რატომ ვერ პასუხობს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა საერთაშორისო განათლების ბაზრის მოთხოვნებს;
- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თსუ-ში და არა მარტო ამ უნივერსიტეტში, საერთაშორისო სტუდენტებში, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო ფაკულტეტი. ვფიქრობ, საჭიროა განისაზღვროს სამედიცინო ფაკულტეტის მოთხოვნადობის მიზეზები, რათა სხვა ფაკულტეტებითაც მოხდეს სტუდენტების დაინტერესება;
- გამოკითხვამ აჩვენა, რომ საერთაშორისო სტუდენტების ნაწილი უკმაყოფილოა უნივერსიტეტის საერთაშორისო დეპარტამენტის მიერ სტუდნეტების დაკვალიანების ხარისხით. შესაბამისად, რეკომენდირებულია დეპარტამენტის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის მომსახურების გაწევაში;
- გამოკითხული საერთაშორისო სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი მეგობრობს ქართველ სტუდენტებთან, რის საფუძველზეც, მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს სხვადასხვა აქტივობები და ღონისძებები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდნეტების ჩართულობით.

გამოყენებული ლიტერატურა

- *უცხოელი სტუდენტები საქართველოში.* თბილისი: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (2018). ვებგვერდი: http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_a5_geo.pdf
- Barrioluengo, S. M., & Flisi, S. (2017). *Student mobility in tertiary education: institutional factors and regional attractiveness.* European Comission. ვებგვერდი: http://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC108895/student_mobility_in_tertiary_education_final.pdf
- EU Country Ranking 2018 for International Students. (2018). *The Study.EU.* ვებგვერდი: https://www.study.eu/article/the-study-eu-country-ranking-for-international-students
- FROM ERASMUS TO ERASMUS+. (2018). ვებგვერდი: https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/anniversary_en
- *Impact of international students in the UK.* (2018). London. ვებგვერდი: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/739089/Impact_intl_students_report_published_v1.1.pdf
- International Student Statistics in UK 2019. (2019). *Study in UK*. ვებგვერდი: https://www.studying-in-uk.org/international-student-statistics-in-uk/
- INTERNATIONAL STUDENTS ADMISSIONS SERVICES. (2019). *FD Education*. ვებგვერდი: https://www.fdstudy.com/en/apply-ukraine-university
- Kakichashvili, I. (2019). EDUCATION IN GEORGIA - STUDY IN GEORGIA AS A FOREIGN STUDENT. *GeorgiaJourney*. ვებგვერდი: https://www.georgiajourney.com/en/article/15/education-in-georgia-study-in-georgia-as-a-foreign-student
- M. A. (2018). *Impact of international students in the UK.* London. ვებგვერდი: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/739089/Impact_intl_students_report_published_v1.1.pdf?fbclid=IwAR3yGlhxRlgeiTsk11hjFLck_UVqpvVvxzhbuka8l457IJxSj7GEG73Cv9w
- UK University Entry Requirements. (2019). *Study in UK*. ვებგვერდი:

https://www.studying-in-uk.org/uk-university-entry-requirements/

- Why Study In The UK – Benefits Of Getting A British Degree. (2019). *Study in UK*. ვებგვერდი: https://www.studying-in-uk.org/why-study-in-uk/

დანართი

დანართი 1



დანართი 2

Statistics

AGE

N	Valid	90
	Missing	10
Mean		21.57
Median		22.00
Mode		21

AGE

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	18	2	2.0	2.2	2.2
	19	7	7.0	7.8	10.0
	20	9	9.0	10.0	20.0
	21	26	26.0	28.9	48.9
	22	23	23.0	25.6	74.4
	23	16	16.0	17.8	92.2
	24	3	3.0	3.3	95.6
	25	4	4.0	4.4	100.0
	Total	90	90.0	100.0	
Missing	System	10	10.0		
Total		100	100.0		

დანართი 3



დანართი 4

YEAR OF STUDY ARE

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	I just started at this university	27	27.0	27.0	27.0
	other year	49	49.0	49.0	76.0
	final year	24	24.0	24.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 5

Georgia's reputation as a safe country

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	20	20.0	20.4	20.4
	somewhat important	51	51.0	52.0	72.4
	very important	22	22.0	22.4	94.9
	essential	5	5.0	5.1	100.0
	Total	98	98.0	100.0	
Missing	System	2	2.0		
Total		100	100.0		

დანართი 6

Georgia's political stability

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	21	21.0	21.0	21.0
	somewhat important	44	44.0	44.0	65.0
	very important	32	32.0	32.0	97.0
	essential	3	3.0	3.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 7

Georgia's social stability

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	19	19.0	19.2	19.2
	somewhat important	51	51.0	51.5	70.7
	very important	27	27.0	27.3	98.0
	essential	2	2.0	2.0	100.0
	Total	99	99.0	100.0	
Missing	System	1	1.0		
Total		100	100.0		

დანართი 8

The reputation of the education system in Georgia

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	16	16.0	16.7	16.7
	somewhat important	35	35.0	36.5	53.1
	very important	31	31.0	32.3	85.4
	essential	14	14.0	14.6	100.0
	Total	96	96.0	100.0	
Missing	System	4	4.0		
Total		100	100.0		

დანართი 9

Opportunities for permanent residence in Georgia

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	17	17.0	17.0	17.0
	somewhat important	33	33.0	33.0	50.0
	very important	41	41.0	41.0	91.0
	essential	9	9.0	9.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 10

A relative, friend, lived/studied or is living/studying in Georgia

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	20	20.0	20.4	20.4
	somewhat important	36	36.0	36.7	57.1
	very important	31	31.0	31.6	88.8
	essential	11	11.0	11.2	100.0
	Total	98	98.0	100.0	
Missing	System	2	2.0		
Total		100	100.0		

დანართი 11

Availability of financial support (scholarships, aid) to study in Georgia

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	23	23.0	23.2	23.2
	somewhat important	23	23.0	23.2	46.5
	very important	40	40.0	40.4	86.9
	essential	13	13.0	13.1	100.0
	Total	99	99.0	100.0	
Missing	System	1	1.0		
Total		100	100.0		

დანართი 12

The quality of education of this university

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	20	20.0	20.0	20.0
	somewhat important	42	42.0	42.0	62.0
	very important	28	28.0	28.0	90.0
	essential	10	10.0	10.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 13

The prestige of a degree/diploma from this university

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	18	18.0	18.0	18.0
	somewhat important	39	39.0	39.0	57.0
	very important	32	32.0	32.0	89.0
	essential	11	11.0	11.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 14

The cost of studying at this university

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	19	19.0	19.0	19.0
	somewhat important	33	33.0	33.0	52.0
	very important	38	38.0	38.0	90.0
	essential	10	10.0	10.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 15

The availability of a particular program at this university

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	not important	24	24.0	24.0	24.0
	somewhat important	28	28.0	28.0	52.0
	very important	37	37.0	37.0	89.0
	essential	11	11.0	11.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 16

Experience with Georgian immigration officials

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	very dissatisfied	14	14.0	15.1	15.1
	dissatisfied	29	29.0	31.2	46.2
	satisfied	44	44.0	47.3	93.5
	very satisfied	6	6.0	6.5	100.0
	Total	93	93.0	100.0	
Missing	System	7	7.0		
Total		100	100.0		

დანართი 17

Orientation program

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	very dissatisfied	12	12.0	14.5	14.5
	dissatisfied	29	29.0	34.9	49.4
	satisfied	35	35.0	42.2	91.6
	very satisfied	7	7.0	8.4	100.0
	Total	83	83.0	100.0	
Missing	System	17	17.0		
Total		100	100.0		

დანართი 18

Welcome by an international student reception service at my university

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	very dissatisfied	19	19.0	26.4	26.4
	dissatisfied	20	20.0	27.8	54.2
	satisfied	29	29.0	40.3	94.4
	very satisfied	4	4.0	5.6	100.0
	Total	72	72.0	100.0	
Missing	System	28	28.0		
Total		100	100.0		

დანართი 19

MOST OF YOU FRIENDS HERE IN GEORGIA ARE

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	students from my country	18	18.0	18.0	18.0
	other international students	19	19.0	19.0	37.0
	Georgian students	19	19.0	19.0	56.0
	A mixture of students from my home country and other international students	3	3.0	3.0	59.0
	A mixture of students from my home country and 2	22	22.0	22.0	81.0
	Georgian students	19	19.0	19.0	100.0
	Total	100	100.0	100.0	

დანართი 20



დანართი 21



დანართი 22



დანართი 23



დანართი 24



დანართი 25

RECOMMEND THIS UNIVERSITY

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	Definitely no	7	7.0	6.5	6.5
	Probably no	3	3.0	3.4	3.4
	Probably yes	59	59.0	63.8	63.8
	Definitely yes	21	21.0	26.3	26.3
	Total	100	100.0	100.0	100.0
Missing	System	0	0.0		

დანართი 26

ALL ASPECTS OF YOUR GEORGIAN EDUCATION EXPERIENCE?

		Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Valid	very dissatisfied	2	2.0	2.5	2.5
	dissatisfied	21	21.0	10.7	10.7
	dissatisfied	18	18.0	22.8	22.8
	satisfied	59	59.0	64.0	64.0
	Total	100	100	100.0	
Missing	System	0	0.0		
Total		100	100.0		

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program "Educational Sciences"

Rusudan Darsalia

International Students Integration During Studying in Georgia?!

(On the Example of International Students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University's Medical Faculty)

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU

Tbilisi

2019